გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

პროფესიული გადამზადების პროგრამა
„ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“

ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია

შესავალი

ტყის მდგრადი მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს ტყის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ განახლებული ინფორმაციის არსებობა და ამ ინფორმაციის საფუძველზე ტყის მართვის გეგმების მომზადება კონკრეტული ტერიტორიებისათვის (მართვის დონის ინვენტარიზაცია ტარდება სატყეო უბნის დონეზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ემთხვევა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს). თავის მხრივ, აღნიშნული ინფორმაციის შეგროვებისა და ყველა სახის სატყეო-სამეურნეო ღონისძიების დაგეგმვის საფუძველი ტყის ინვენტარიზაციაა, ხოლო, ტყის მართვის გეგმა წარმოადგენს ტყის ინვენტარიზაციის პროდუქტს და სახელმძღვანელო დოკუმენტს 10-წლიანი პერიოდისთვის. შესაბამისად, ტყის ინვენტარიზაცია მუდმივი სატყეო ღონისძიებაა, რომელიც ეროვნული თუ საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების თანახმად 10 წელიწადში ერთხელ ხორციელდება სატყეო უბნის (ტყის ფონდის ადმინისტრაციული ერთეული) დონეზე.

ტყის ინვენტარიზაციის ეტაპები მოიცავს:

- **კარტოგრაფიულ მასალებთან მუშაობას**
- **საველე პირობებში ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ მონაცემთა შეგროვებას, ანალიზსა და კამერალურ დამუშავებას**
- **სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დანიშვნასა და დოკუმენტაციის შექმნას**

ინვენტარიზაციის საბოლოო პროდუქტი ტყის მართვის გეგმის მომზადებაა

ნათია იორდანიშვილი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე:

„ტყის ახალმა კოდექსმა ტყის ინვენტარიზაცია და ტყის მართვის გეგმების მომზადება დაადგინა როგორც ძირითადი სავალდებულო პროცედურა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისთვის. კვალიფიციური კადრის ნაკლებობა სატყეო სექტორის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება. იმის გამო, რომ მრავალი წელი სექტორი ნაკლებად პრიორიტეტული იყო, პროფესიონალ მეტყევეებზე მოთხოვნა შემცირდა, პროფესიამ დაკარგა პოპულარობა ახალგაზრდებში და მივიღეთ თაობათა წყვეტა. სექტორში მასშტაბური რეფორმის დაწყების შემდეგ ეს პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ამ მიზნით გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, მოწესრიგდა საკანონმდებლო ბაზა, გაუმჯობესდა ტყის მართვის ორგანოების ინსტიტუციური მოწყობა და სხვა შესაძლებლობები, განახლდა და გაიზარდა სატყეო ღონისძიებების მასშტაბები, თუმცა, ეფექტიან კანონაღსრულებას და სატყეო მეურნეობის გაძღოლას შესაბამისი რაოდენობის სპეციალისტები სჭირდება და მათი დანაკლისი ყველაზე მეტად ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოების განახლებისას გამოჩნდა.

ტყის ინვენტარიზაცია ტყის მდგრადი მართვის აუცილებელი წინაპირობაა, რომლის დროსაც ხდება ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება და საჭირო სატყეო ღონისძიებების დაგეგმვა. რაც მთავარია, ეს პერმანენტული პროცესია, რომელიც მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს და ტყის ახალმა კოდექსმა ის სავალდებულო პროცედურადაც დაადგინა. ტყის ინვენტარიზაციის საველე და კამერალური სამუშაოები სატყეო განათლებას, სპეციფიურ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს, ხოლო მოთხოვნა ასეთ კადრზე მუდმივად მზარდი იქნება.

ტყის ინვენტარიზაციისა და ტაქსაციის სასწავლო პროგრამა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სატყეო განათლების განვითარებას ქვეყანაში, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საკმარის ადამიანურ რესურსს ტყის ინვენტარიზაციის ხარისხიანი და სწრაფი განხორციელებისთვის”.

პროფესიული გადამზადების პროგრამა „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია”

ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად კვალიფიციური ახალგაზრდა კადრის მომზადებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს პროფესიული გადამზადების პროგრამას “ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია”.

მიზანი: ტყის ტაქსაციის სპეციალისტის (მეტყევე-ტაქსატორი) მომზადება, რომელიც შეძლებს ტყის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოების განხორციელებას.

- **ხანგრძლივობა:** 8 კვირა
- **დაშვების წინაპირობა:** სატყეო ან/და მომიჯნავე სფეროში ბაკალავრის ხარისხი
- **პროგრამის კოორდინატორი:** ირაკლი სისვაძე - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
- **პროგრამაზე სწავლა უფასოა**

პროგრამის გასავლელად საჭირო ნაბიჯები

01 *რეგისტრაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე (www.vet.emis.ge)*

02 *გასაუბრება შესაბამის კომისიასთან*

03 *კურსის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გავლა*

04 *ტესტირების გავლა*

05 *პრაქტიკული დავალების შესრულება*

06 *სერტიფიკატის მიღება*

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ისე საველე სწავლებას, რომელიც ხორციელდება სსიპ სატყეო სააგენტოს ტყის ფონდში.

რას ისწავლით „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია” პროგრამის ფარგლებში?

- ტყეში აზომვითი და შეფასებითი სამუშაოების ჩატარებას
- მონაცემთა შეკრებას, დამუშავებას, ელექტრონულ პროგრამაში ასახვასა და ანალიზს
- მონაწილეობას სატყეო ღონისძიებების (ტყითსარგებლობის, ტყის მოვლა-აღდგენის და სხვა) დაგეგმვასა და ტყის მართვის გეგმების მომზადებას

თამარ ალადაშვილი
გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი:

„პროგრამა განკუთვნილია სატყეო ან/და მომიჯნავე სფეროში ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებისთვის და მიმართულია, როგორც ტყესთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნის განმტკიცების, ასევე, ტყის ინვენტარიზაციისა და ტაქსაციის საველე პირობებში განხორციელებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებისაკენ.

პროგრამა დაფუძნებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე, ასევე, თეორიული ნაწილის დეტალურ განხილვაზე. მსმენელები აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო პროცესში, და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ისახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. სასწავლო კურსი, რომელიც ავტორიზირებულია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, არის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, შეიძინონ დამატებითი ცოდნა და გამოიყენონ ის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმეში, ეროვნული საგანძურის - ტყის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში”.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სურვილის შემთხვევაში დასაქმდება ეროვნულ სატყეო სააგენტოში.

პროგრამას უძღვებიან დარგის ექსპერტები:

- **გიორგი თხელიძე** - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის ტყის ინფორმაციისა და კადასტრის სამმართველოს უფროსი
- **მარინე სუჯაშვილი** - ეროვნული სატყეო სააგენტო, ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის მრჩეველი
- **ნოდარ გაგნიძე** - ეროვნული სატყეო სააგენტო, ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
- **ვლადიმერ ვაშაკიძე** - ეროვნული სატყეო სააგენტო, ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი
- **ზაზა ნონაშვილი** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის ბიომრავალფეროვნების მონიტორნიგის სამმართველო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
- **ზურაბ ჯანიაშვილი** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების მონიტორნიგის სამმართველო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი



საკონტაქტო პირი:

ეთერ ქავთარაძე - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო კურსების კოორდინატორი (ტელ.: 599175273, ელექტრონული ფოსტა: eter.kavtaradze@eiec.gov.ge)

პროგრამა „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია” ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით, პროფესიული უნარების სააგენტოს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

შენიშვნებისთვის

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

http://eiec.gov.ge

info@eiec.gov.ge

+995 32 2 11 20 23

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 32გ